ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს განათლების,კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2021 წლის 28 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. ფრიდონ კუკავა
3. გივი ლატარია
4. მზია ლემონჯარია
5. კობა გერგაია
6. დიტო ხასია
7. ლევან ლაშხია
8. ნუგზარ შუშანია

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია- კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 14 დეკემბრის N50-50213483 და 20 დეკემბრის N 50-502135426 წერილის განხილვა:

- ,, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოცილურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- ,,ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის

თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

- ,,ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- ,,ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია- განათლების კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-8, წინააღმდეგი- 0
დაადგინეს : დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთა განხილვა

1. ,,ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია-განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა დ. გაბუნიამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი,,ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი 587330 ლარი შემცირდა 4070 ლარით (გადატანილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში) და გაიზარდა 20583

ლარით(გაიზარდა ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი) შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 603843 ლარის ოდენობით.

მერიის განმარტებით 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის საოპერაციო, ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების, 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების და ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლებში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. ამავე პროგრამის გარკვეული მუხლების ეკონომიების ხარჯზე (28020ლარი)მოხდა საოპერაციო, ქიმიო, იოდო და სხივური,რადიო, ჰორმონოთერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების(15000 ლარი), 0-18წლამდე ასაკის პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების (8950 ლარი) მუხლების ბიუჯეტის ოდენობის გაზრდა და თანხის (4070ლარი) გადატანა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში. ხოლო,, ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების“ მუხლი 2021 წლის 10-17 სექტემბრის სტიქიით(ძლიერი ქარი და წვიმა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 20583 ლარის ოდენობით

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა შემდეგ მუხლებში, კერძოდ შემცირდა 28020 ლარი მუხლებში:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების(რომელებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას), რომელთა სახლები საჭიროებენ სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას, ასევე ავარიულ მდგომარეობაში სახლების გასამაგრებლად სახურავის, გადსახურად საჭირო სხვა მასალის, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი 3150 ლარით.
2. დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარების მუხლი 3900 ლარით.
3. უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლების საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში თავშესაფარში მოთავსებამდე ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის დახმარების მუხლი 2650 ლარით.
4. შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსების მუხლი 3000 ლარით.
5. 200 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულით სოციალურად დაუცველი, მაროტოხელა მოხუცების შინმოვლის თანადაფინანსების მუხლი 4800 ლარით.

6. სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრების გარეშე დარჩენილთა), რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას(არაუმეტეს 6 თვისა) მუხლი 3950 ლარით.
7. 0-18 წლამდე შშმ პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების, კერძოდ დღის ცენტრის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსების მუხლი 6570 ლარით.

გაიზარდა 44533 ლარით მუხლები:

1. საოპერაციო(გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები), ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდპაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით (300 ლარი და ზემოთ)(ერთჯერადად) მუხლი გაიზარდა 15000 ლარით.
2. 0-18 წლამდე ასაკის პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი გაიზარდა 8950 ლარით.
3. ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი გაიზარდა 20583 ლარით.

4070 ლარი გადატანილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8, წინააღმდეგი-არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. განკარგულების პროექტი,,ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

(მომხსენებელი: დ. გაბუნია-განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა დ. გაბუნიამ კომისიის წევრებს გააცნო

განკარგულების პროექტი,,ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" პროგრამის ბიუჯეტი2022 წლისთვის განისაზღვრა 567700 ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 59600 ლარით.ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალურ პროგრამას ახალი მუხლი არ დამატებია, თუმცა 2021 წლისგან განსხვავებით გარკვეულ მუხლებში გასაცემელი დახმარებების ოდენობები გაიზარდა.კერძოდ:

ა) უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრა 150 ბენეფიციარის ოდენობით,ნაცვლად 135-სა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 100000 ლარიშ ოდენობით ნაცვლად 87000 ლარისა

ბ)მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარების თანხა განისაზღვრა 250 ლარით, ნაცვლად 200 ლარისა,შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24000 ლარის ოდენობით ნაცვლად 16000 ლარისა.

გ)დახმარება ახალშობილთა ოჯახების მე-3 და მე-4 შვილზე განისაზღვრა 300 ლარის ოდენობით, ნაცვლადმე-3 და მე-5-სი და მე-5 და ზემოთ 500 ლარი, ნაცვლად მე-6 და ზემოთ 600 ლარისა.

დ)დიალიზზე მყოფ მოქალაქეებს ყოველთვიური დახმარება გაეზარდათ 100 ლარიდან 150 ლარამდე

ე)დევნილთა დაკრძალვის ხარჯები განისაზღვრა 250 ლარით, ნაცვლად 200 ლარისა. აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით, ნაცვლად 3000 ლარისა.

ვ)ჩერნობილის კატასტროფის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება განისაზღვრა 1950 ლარით, ნაცვლად 2100 ლარისა(ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ)

ზ)სოციალურად დაუცველი ოჯახების(რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას), რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას ან სახლი გამაგრებას,

სახლის გადასახური და ცემენტის და ბლოკის შეძენის ბიუჯეტი განისაზღვრა 80000 ლარით, ნაცვლად 40000 ლარისა.

თ) 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა 250 ლარით, ნაცვლად 200 ლარისა და აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1750 ლარით, ნაცვლად 1800 ლარისა(ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ)

ი) აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა 250 ლარით, ნაცვლად 200 ლარისა და აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 3400 ლარისა (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ)

კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1750 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1400 ლარისა.

ლ) ოჯახში ძალადობისმსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 7500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 4500 ლარისა, რაც გამოიწვია ოჯახში ძალადობის სტატისტიკის გაზრდამ.

მ) შშმ პირთა ონკოლოგიურ დაავადებებზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების(კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსების მუხლი განისაზღვრა 15150 ლარით, ნაცვლად 18000 ლარისა.

ლ. ლაშხიამ- გამოთქვა აზრი, სასურველი იქნება, თუ დღის ცენტრი განთავსდება ქ. ხობის ცენტრის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ აღნიშნული მოსაზრება მიეწოდება მერიის შესაბამის სამსახურს.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი კომისიის დასკვნასთან და ლ. ლაშხიას მოსაზრებებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი პროექტის შეტანას საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8, წინაარმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

3. განკარგულების პროექტი ,, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“
(მომხსენებელი: დ. გაბუნია-განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა დ. გაბუნიამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი ,, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 45240 ლარის ოდენობით

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე-8, წინააღმდეგი- არც ერთი.

დაადგინეს:წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში.

4. განკარგულების პროექტი ,, ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შრჩევის წესის დამტკიცების შესახებ“
(მომხსენებელი: დ. გაბუნია-განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა დ. გაბუნიამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,, ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შრჩევის წესის დამტკიცების შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N35 განკარგულებით უმწეოთა სასდილოში დარეგისტრირებულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 135 ბენეფიციარს. ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ბენეფიციართა მაღალი მომართვიანობიდან და შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2022 წლიდან ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 150-დე.რაზედაც მომზადდა ზემოთ აღნიშნული განკარგულების პროექტი.

ნ. შუშანიამ - განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა, განკარგულების პროექტში

აღნიშნული იყოს, თუ როგორ ხდება უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევა.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ აღნიშნული მოსაზრება მიეწოდება მერიის შესაბამის სამსახურს.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი კომისიის დასკვნასთან და ნ.შუშანიას მოსაზრებებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი პროექტის შეტანას საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8, წინაარმდეგი- არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დოდო გაბუნია